



გაზეთის ფასი

ბაზაზე	7 მან.	6 მან.
საბჭოების წლისა	4 —	3 — 50 კ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	2 —
კალკ ერთის წუმრისა გაუზავნელათ	3 შაური.	

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

ხალის-მოწერა მიიღება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკო-მედიკოს და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბუბუთოვის სახლში
 თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი მანქანადება სხვა და სხვა ენებზედ, შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასოებით გაზეთის სტრუქტურაზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიბერატორო გაზეთი.

შინაარსი:

პოლიტიკა: შრანცია. — ანგლია. — ისპანია. — მე-ყველევბა, ამხანაგობა. — საჭიროა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა თუ არა. — რამდენიმე ადგილი მოთხოვნიდან „მართა“. — საჭიროა ცნობები. — ბიბლიოგრაფიული განცხადება. —

პოლიტიკა.

შრანცია.

შულ — ჩაგრმა მესამე მარხის ამომრჩეველებს შემდეგი წიგნი გაუზავნა: „საყვარელნო თანამოქალაქნო! მივიღებ რა თქვენგან მოსაცემ კანდიდატობას, პატივი მაქვს წარმოეთქვა თქვენ წინაშე ჩემი პოლიტიკური პრინციპები, რომელთაც ერთგულება მქონია ჩემ მრავალ წლოვან სიცოცხლეში, და სარწმუნოთა ეყოფილვარ რომ თქვენს მხედველობასაც ეთანხმებიან ის პრინციპები. მე ცხადი მომხრე ვარ თარხნულის ჰაზრისა და თავის უფლებებისა და ფიცი მოწინააღმდეგე ყოველისავე უფლებებისა, რომელიც ერის თავისუფალ თანხმობაზე არ არის დაფუძნებული; მე აღვიარებ, რომ ჩემის სამშობლო ქვეყნის დახსნას და დიდებას ვაპყრებ იმაზე რომ 1789 წლის რევოლუციის გამოცხადებულ უფლებებებით სრულიად ვსარგებლობდეთ. ის უფლებანი რომ ვაღიაროთ და არ შევიყვანოთ ცხოვრებაში და მოქმედებაში, — ის დასაცინარი საქმეა; ამას გარდა იმაზე დაგვეტყობოდნა ის სურვილი, რომ სხვების შეტყუება გვინდა, მაგრამ დრო გვი-

ბლოდებდა, როდესაც არც ერთი თქვენგანი არ დათანხმდებდა, რომ მოტყუებულ იქმნას. ამისთვის თქვენ მოითხოვთ თქვენის რწმუნებით შემოხილთაგან, რომ ისინი იყვნენ ღრმა რწმუნებისანი და გულადნი, რომლითაც იმათ შეეძლოთ დაულაღვათ შრომა თავისუფლების საქმის გამარჯვებისათვის. თქვენ იმათგან ითხოვთ თანაშემწეობა მისცენ დაწესებების დაფუძნებას რომელთაც შეუძლიათ ამ მარტივის ფორმის დაარსება: რომ თვითონ ქვეყანა მართავდეს — ქვეყანასა. ჰეშმარტათ აღმასრულებელ უფლებას სხვა დანიშნულება არა აქვს იმის მეტი, რომ იყოს იარაღი და გამომთქმელი ერის ნებისა. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ამ ნებას თარხნობით გამოთქმა შეეძლოს და ყოველს ინტერესს მიუღდეს; საჭიროა რომ ბეჭდვას სათარხნე ჰქონდეს და ხელმეორეთ ექვემდებარებოდეს ნაფიქტო სასამართლოსა, რომ ბეჭდვამ ყოველგან მოჰქონოს ნათელი და ჰეშმარტება; საჭიროა, რომ მცხოვრებთ შეკრება და რჩევა შეეძლებოდეთ პოლიციის გარევისა უშიშროებით; საჭიროა რომ აღზდა და განათლება ერთგვარათ მოფენილი ყველგან ჩვენი ყმაწვილები-სათვის დაიწყებოდეს პირველ სიყმაწვილეშივე; რომ შექმნას ისინი კარგ მოქალაქეებათ, შეეერთოს, გრძნობისა და მოვალეობის მქონდრო კავშირითა. მაშინ აღსრულდება თავისთავით და ძალდაუტანელათ საქვეყნო ცვლილება, რომელსაც მოვილიან ყველა განათლებული კაცები; ეს ცვლილება ომიანობას აღარ შესაძლებელს ჰყოფს, დაჰკეტავს კაზარმებს, დაჰხსნის შკოლებსა და მიწის მუშაობას და აღებშიცემას დაუბრუნებს მუშა-

კთა, რომელნიც ეხლა გამოაცალა სამუშაოს უგუნურმა მდგომარეობამ-სრეთ წოდებულმა შეტყუარე ილმა მშვიდობიანობამ. მაშინ ეხლანდელის მიძიმე ხარჯის შემცირება შესაძლო იქნება, პირიქით ეს ხარჯის შემცირება შეუძლება იმ წესის ჩამოგდებასა, როდესაც ჩვენს მშვენიერს ქვეყანას დაუტყვევებს თავის ცხოველ მუშაკებსა, და როდესაც ღონის ძიებას მისცემს თავის კეთილმდგომარეობისათვის გამარჯვებისათვის თავისი ძალა მოიხმაროს. ხოლო ამ პროგრამის ასრულებისათვის საჭიროა იმ პოლიტიკის წინააღმდეგობა, რომელმაც მეროპაში სრულიად განცალკევებულ მდგომარეობაში დაგვყენა და იძულებულ გვყოფს ჩვენი ყოველი ღონის ძიების გამოძლეველი ჰარები შევიწახოთ; საჭიროა იმ პოლიტიკის წინააღმდეგობა, რომელიც მიწის მხენელ-მთესველს და აღებშიცემის კაცს ცხრა წლობით თავის მუშაობას აცლის, შევიდის წლით ავიანებს ცოლისა შერთვასა და ვადებს ნაციონალურის გვარდისა მიძიმე ტურისა მგონებ, რომ თუ პალატა შედგენილია თვით ამომრჩეველთ დეპუტატებისაგან, ეს თანამდებობა პალატის ღონის არ ვაღაქმებდა. მგონებ აგრეთვე, რომ თუ პალატამ სინდისიანათ განისწავლა ხარჯის სისტემა, ამისთანა პალატას შეუძლია უფრო სამართლიანათ გაჰყოს და შეამსუბუქოს შრომა და ამთ მოსცეს მრავალთა ჯეროვნობა. მგონებ ბოლოს, რომ ამ პალატამ უნდა შეიტყოს საჭიროება იმ ცვლილებების მოხდენისა, რომლისაც საფუძელით მერები უნდა ამოირჩენენ მცხოვრებთაგან და პალატამ თავის სასართლიანი კონტროლის ქვეშე-

დაჭერით მმართველობის ყოველის მოქმედებისა, უნდა ჩამოაგდოს წესისათვის ჰეშმარტო საფუძველზე, მშვიდობიანობაზე, თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე. — მაგრამ რა საჭიროა აქ მოყვანა ყველა ამ რწმუნებისა, ჩემო ძვირფასნო თანამოქალაქნო? უამისოთაც ეს ჩვენ გულში გვიწერია. თუმცა პირდაპირ ბერნი თქვენგანნი არ მიცნობენ, მაინც მე უნდა ვანგინარტოთ, რა მსურს, რის იმედი მაქვს, გონებით რისადმი მივიღებ. მეკუთვნი რა ხალხის მფლობელობის პატივცემულთ მცველთა რიცხვსა, ჩემი სახელი იმაზედ მიმიგდია, რომ ვეცადო ჩემი მოვალეობა ავასრულო, და ჩემი პატივის მოყვარება იმაზე, რომ თქვენი მგობრულის რწმუნების ღირსი ვიქნებოდე“.

ანგლია.

ლორდების პალატის სხდომაში, აპრილის 26-ს, მარკისმა ბეტმა ჰკითხა მმართველობას, რა საშუალება უნდა მიიღოს მმართველობამ ირლანდიის დამშვიდებისათვის, სადაც ისე დღე არ გაივლის, რომ კაცის კვლა არ მოხდესო. ლორდმა ბრენვილმა უპასუხა, რომ მმართველობას ჯერ არ შეუძლიან დანიშნოს ის ღლეო, როდესაც უნდა მიიღოს საშუალება ირლანდიის დამშვიდებისათვის. პალატის ორატორები თხოულობდნენ, რომ მმართველობამ სწორეთ გეითხრას-რა განკარგულება უნდა მოახდინოსო ირლანდის მიწებზე, ან რა პოლიტიკით უნდა მოიქცეს ამ საქმეშიო. ლორდმა მესტბერამ ისიცა სთქვა, რომ ირლანდიის ეკლესიის საქმეს — მანამდინ არ ვაგვისნჯავთ, ვიდრე მმართველობა არ მოგვეცემს ჩვენ კითხვებზე პასუხსაო.

რამდენიმე ადგილი მოთხოვნიდან „მართა“.

(ძველი ცხოვრებიდან)

შუშანა ამ ფიქრებთან გამოტრიალდა ეკლესიიდან უცდება, თითქო შემოსწყრა ვისმეო, და გამოსწია; მიმიდაც გვერდით აედევნა, თითქო ეშინოდა არ გამეცქესო.

როდესაც შუშანა შინ დაბრუნდა, იმის დედა ბაიანე, უჯდა სათამაშო ქალაღსა და შლიდა; ის გვერდზედ, კინწ-მოგარეხილი გაჰყურებდა ბუზნის ხელმწიფესა და მხიარულათ იღიმებოდა.

— შუშანჯან! შენ გათხოვებთ... ნეტა რა დღე იქნება, შეილო! — დაიწყო ბაიანემა, როგორც რომ დინახა შუშანა: — ქა! აი ქალაღი ისე იჩვენება... მილაცა ვინმე დიდი კაცი გირთავს... სულ კარგი ქალაღი გახვევია... აი მოდი დახედე.

— იმ, დედილო! ნეტავი შენა, რომ ქალაღი გჯერა... მაღალდი რა დასაჯერებელია!... მაგრამ შუშანამ ჩუმთ კი გადაავლო თვალი ქალაღსა. შუშანას ქალაღს გარშემო სულ წითელი ქალაღი და ალაგ-ალაგ ტრეფები ელაგა; გულზედ ედო ბუზნის ხელმწიფე. „მის სწორეთ ის არის!“ გაუელვა შუშანას ფიქრმა, გადაჰკრა სინარულის ფერმა, დაუწყო გულმა ცემა და მოეცა ისევე ჩასტის აფიცრის შერთვის იმედი.

— მარგი ქალაღი მოდის, დედაშვილო-ბამა!.. რომ ერთი დიდი ვინმემ შეგირთოს, დიდი ღეთის მოწყალეობა არ იქნება?! — დაიწყო კიდევ ბაიანემ.

— მიმ! ნეტავი თქვენა! სულ შერთვა გაგონდებთ... ნეტავი ერთი იცოდე, დედილო, მე შეთხინში ედგევარ და მიკირტ მიკირტი-ჩთან ერთი ვილაცა ჩასტის აფიცარი შემოვიდა; ისეთ ნაირათ დამიწყო ყურება, ისეთ ნაირათ ჩამაკერდა, რომ სირცხვილით კინაღამ გამოვიქცე საყდრიდან... რა ურცხვები არიან ზოგიერთი კაცები!..

— რომ გეუბნები, შეილო, უჩადრობა კარგი დრო არ არის, მეთქი! შუშინ როგორ შეგვეძლო უჩადროთ სადმე ვაგსულიყავით... ძაცის საქმე მისდღეში აგრეთია: უჩადრო ქალს ცქერას დაუწყებს... ძელავე, შეილო, უჩემოთ აღარ ვაგვიშვებ არსადა, თორემ, ვინ იცის, ათას ნაირი კაცი დაიარება დუნიაზედა.

— დედაკური სახე კი ჰქონდა, ვილაც იყო. მართველსა ჰგვანდა.

— მა! დაკენილი ხომ ვინმე არ იყო, შეთვალ-წარბა?

— მგონია... რაეიცი, მე ხომ იმას არ დაუწყებდი ყურებას... ძალიან საჭიროა, ვილაცა უცხო კაცის შინჯვა, თუნდა დიდი კაცი იყოს, თუნდა პატარა.

— ჰო, შეილო! რომ გეუბნები კარგა ვაკეთე პირი, მეთქი!.. ის უთუოთ კნიაზ შეცარიძე იქნებოდა, ჩასტის აფიცარი... დიდი ყმა და მამულის პატრონს ამბობენ; ფულიც ბევრი აქვსო... იმან ცოლის შერთვა უნდა და მზითვანს ქალს ეძებს, მე ისე შემიტყვია. მინ იცის იქნება შენზედაც უჭირავს თვალი!.. შთუოთ ისე იქნებოდა, თორემ სომხის საყდარში რა უნდა, ის ხომ ქართველია!.. შთუ-

ოთ შენს ვასშინჯათ იქნებოდა და შენ კი, ვინ იცის, ვგრე გათხუნული წახვედი, უპირ-შუშტაკოთა და უფერუმარილოთა!.. აბა ჩემი სიტყვა რომ ათა გჯერა, თითქო შენი უცხო ვინმე ვიყვე, ალა რომ არ მოეწონო იმასა, ხომ დაჰკარგე ჰავისთანა ბედი... მერე მაგისთანა ვინმეს სალა შეირთავ — ქალი დაბერდი... ჩსენისთანა ვიგას თავს ადგიან... კნიაზია... — არ შემართავს და ნუ შემირთავს!... დიდი საჭიროა... — მა! ოცდა შეიდი წლისა ხარ!.. ბაუთხოვარი ხომ არ გინდა დაჰბერდე... — მაშინთოვეთ — რა, მერე ვინ გიშლით!.. მე როდის დავივალეთ... თქვენ თითო გროშზედ დაჰკანკალეთ, რიგანს მზითვეს არ იმეტებთ და უმზითოთ თქვენისთანა მუქიკის ქალს რიგანი კაცი ვინ შეირთავს!.. — მა! სულ ხომ შენ არ მოგცემთ, რაც ხეჩომ ფული უშინია! შენს გარდა კიდევ ორი ქალი კიდევ სხვა მყავს და კიდევ ვაჭი-შეილია... ახლა ჩვენ კი კაცები არა ვართ, ცხოვრება არ გვინდა!.. — მაშ ვილას ატყუნებთ!.. თუ ვგრეა — კიდევ გამათხოვეთ როგორც იცოდეთ, — მე რალას მუბნებით... — ბათხოვება ხომ მარტო ფულით არ იქნება — უნდა შენც პატარა შნო და ღაზათი იქონიო, და შენკი ფერუმარილის რიგზე წასმაც გვხარება. — უჰ! უჰ! უჰ! უჰ ზიჰ! ფერუმარილით კი ძალიან მოატყუებს... თქვენ ისრე გგონიათ კაცებმა არ იცოდნენ, რომ ჩვენ ფერუმა-

რილს ვისვამთ! იმათ უფრო ჩვენზედ კარგათაც იციან და დაგეცინიან... — ძიდეც მაგიტომ წახდა დრო, რომ ეხლანდელი ყმაწვილები გაეშმაკდნენ და ფულის მეტს სხვას ყურს აღარას უდებდნენ... მშერთიც იმიტომ არის, შეილო, ჩვენზედ ხელ აღებულთ. ჩვენს დროში დედაშვილობამ, სხვა ნაირათ იყო. აი ხეჩომ ერთხელა მნახა, მოეწონე და შემირთო: არც ფული, არც მზითვეი, არაფერი. მაშინდელს დროში არცარა თითონა ჰქონდა ხეჩუასა... მხლა რაცა აქვს ყველა ჩემი ყაირათით და ჩემი დედაკაცობით... — სუყველას თავისი დრო მოსწონს. მე რა ვქნა, რომ მეც მაშინ არ დავიბადე, რომ თქვენ მზითვეზედ აღარავის შეეწუხებინეთ და უმზითოთ გრაფ შერემენტს შევერთე!.. მხლა ხომ ჰხედავთ უმზითოთ არავინ ირთავს! მეთარე თქვენ ბებერს ქალსა... შუშანას მოცრია ცრემლი და აუღულდა გული. ის გამოვარდა საჩქაროთ მეორე ოთახში, რომ არ ატირებულყო დედის თვალწინა, დაემხო პირქვე მუთაქზედ და მისცა ცრემლს თავი. „მაგათის გულისათვის, რომ თითო გროშს ზედ დაჰკანკალენ, მე უნდა გაუთხოვარი დავრჩე და მერე ვინ იცის ვის უნდა მიმიგდონ... შეიკობდა ის გულამოსკენილი. თუ ეხლა ესეც ხელიდამ გაუშვებს, მერე სიცილიდამდინ, ვინც რომ მოიყვანონ, აღარავის შევირთამ“.

შუშანა რომ ამ ცრემლებში იყო, ბაიანე მართლა მიეცა თავის უფროსს ქალზედ ფი-

ისპანია.

მადრიდი, აპრილის 26-ს. როგორც გეომეტრიკებმა ყველა ცნობები ისპანიიდან პრიმის აზრები სრულდებით გამოცვილია: ტოპეტეს და სერანოს განზარებია და დაახლოვებია რესპუბლიკელებს. მრის ყრილობაში, აპრილის 22-ს, ტოპეტემ და სერანომ კიდევ გახლეს გერცოგი მონანისის კანდიდატობა, მაგრამ პრიმი ამაზე არ დათანხმდა. მაშინ ზღვის მინისტრმა—ტოპეტემ სთქვა, რომ მე და სერანოს არა გესურდა, რომ მეფე იზაბელა ჩამოგვედგო ტახტიდან რევოლუციის დროს; ჩვენ მარტო სამინისტროს ჩამოგდება გინდოდა, მაგრამ პრიმი სულ სხვა აზრისა იყო. — ამბობენ მადრიდში ყველანი ერთად არეულობას აპირებენო და ელიან, რომ რესპუბლიკელები პრიმს დიქტატორად დააყენებენო. — ძარლისტები ძალიან მხნეთ არიან და ხალხში ავრცელებენ პრაქტიკების სარწმუნოებას, და იზაბელას; სხვა უცხო მხრის კანდიდატებს კი აგინებენ და სწყევლიან.

მეყველემბი ამხანაგობა.

ამბობენ რომ ერთმა ძველებურმა მეფემ სიკვდილის წინ მოხმობა თურმე თავის თორმეტი ვაჟი და უთხრა იმათ: „ხომ ჰხედავთ, შეილებო, ჩემ ხელში თორმეტს ლერწამის ჯიხსა; მე მინდა ამათი გარდატეხა. მეცდები ჯერ რომ ყველა ერთად გადაეტეხა. ხედავთ?! ჩამდენსა ესცილიობ, მაგრამ როცა თორმეტევე ერთად არიან, ვერც ერთი ვერ გარდამიტეხა. — მხლა ვეცდები-იქნება თითო თითოთ გაცალკეებულს მოვიყო და იქნება ცალკე-ცალკე მაინცა დაეტეხა ესენი. მაშინ ავიღებ ხელში ჯერ ერთსა. — ხედავთ?! თუმც ძალიან ცოტა ძალა მოვიხმარე, მაგრამ მაინც გარდატეხა; ამა მგორე-მგორეც გატეხა, მესამეცა და სხვებიც; გაცალკეებულნი ყველა დაეტეხე და როცა ერთად იყვნენ, მაშინ კი ვერც ერთს ვერა დაეკლეს რა. — აღამიანების საქმეც ესეთია, შეილებო: თუ ისინი თანხმობით იქნებიან ურთიერთ შორის და მჭიდროდ მიეკავშირებიან ერთმანეთს, მაშინ, დამიჯერეთ, ვერაფერი მტერი იმათ ვერ აე-

ქრსა. „შემცარიდეს უთუოთ მართლა გულში უძევს შუშანის შერთვა, ჰეიქრობდა ისა; მაშინ რა უნდოდა სომხების საყდარში და რათ უყურებდა ისეთ ნაირათ შუშანასა. პოლოზ მინა-ქაროვიც როგორცა გადაკრით ლაპარაკობდა... არა დრო კია ახლა, მართლა, გავათხოვოთ, თორემ ქვეყანა სულ ჩვენზედ... ემესა შერება... ლაპარაკობს: ქალი გაუთხოვარი დაადგესო... რა კარგი იქნება, რომ კნიაზ უმეცარიდემ რუსულათ შეუყვარდეს ჩემი შუშანი და უმზითოთა გეთხოვოს“ ზაიანეს სიხარულის ელვამ გადაჰკრა თვალეზსა და ტუჩებში, „არა! თუნდა იმან მზითვიც არ ითხოვოს, ჩვენც უჯიბისფულოთ შუშანი არ გაუშვებთ-ლოტრასთინა... მეტი კი რათ უნდა! — თითონაც მდიდარია, ბევრი ყმები ჰყავს, ფულებიც ბევრი აქვს, თუ ლმერთმა დღე მისცა, უფრო ბევრიც იშოვინს... მინ იცის იქნება კიდევ უყვარს იმან ჩემი შუშანი! სუყველა ისრე ამბობს, რომ, როცა, განათლებული კაცი ბევრი უყურებს ქალმა, იმან იმას უყვარსო... უთუოთ უყვარს შენმა მშემმა! მაშინ ის პოლოზი რათ ლაპარაკობდა ისე სხვანაირათა... უთუოთ იმან პოლოზს უთქვამს და პოლოზ ჩვენ სწორეთ არ გვეუბნება, რომ ეგება ხეჩუას ფულებმა დაესტყუოვო... მართი რა ენაღლეობა ის ტუტუტი ჩვენ სწორეთ გეთხრას!... მა! რას გვიმალავს!... თავის სამოციქულოს, რაც ერგება, ვინ უქერს?!... მართი მალე უთხრა ხეჩუას, ეგება იმან რამე მოავაროს...“

ზაიანე ისევე ამიქრში იყო, რომ გარედამ

ნებს; და თუ ისინი გაცალკედნენ, მარტო თავის თავის სარგებლობისათვის დაიწყეს ზრუნვა, და არ მოეხმარენ ერთმანეთსა, მაშინ კი უსათუოდ ყველას ცალ-ცალკე დაეცემა მტერი და ყველას დაიმორჩილებს. ამას ისტორიაშია კი ამოკითხავდით: როცა რომელიმე ერთი ერთგულად და ერთსულად დაჰხდომია მტერსა, ყოველთვის გაუმარჯვნია ხოლმე და დაუცავს მამული; და როცა მათ შორის გაჩენილა უთანხმოება და შური, ყოველთვის ისინი დამარცხებულან და მამულის მტერს გაუმარჯვნია. — მხაა, ჩემო საყვარელო შეილებო, ჩემი უკანასკნელი თხოვნა და დარიგება: იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ ერთმანეთ შორის შურსა და უკმაყოფილებას და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერცევთ თქვენ.“

რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვეხსოვდეს ჩვენ და ამ დარბილებისათნავე ვიქცევადეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვექონდეს! ბოლოს, რომ თვითფული ჩვენთაგანი არ ამბობდეს, რომ მე კი კარგათ ვიყო და სხვებს მენიცი დაცემიათ, არ მენაღვლებო!... ჩვენ არ გვემის ის, რომ სხვისი სიკეთე — ჩვენი სიკეთეა, რომ თუ სხვებთ უჭირს ცხოვრება, მაშინ ჩვენც გაგვიკორდება და თუ სხვები ჩვენი თანამემამულეები აღსაესე არიან სიკეთით, პატიოსნობით, კეთილ-დღეობით და სიმდიდრით, მაშინ ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით ჩვენი ცხოვრებითა და ბედნიერთაც ჩავრაცხთ ჩვენს თავსა. — უცხო ქვეყნებში კარგათ იცნეს ეს ჭეშმარიტება, თუმც იქაც არის ჯერ შური და ჯიბრობა; მაგრამ იმას კი მიხვდნენ ესლა, რომ თანხმობით და შეერთებული შრომით საქმის წაყვანა ძლიერ სასარგებლოა მათთვის; ბევრია ისეთი საქმეები, რომ გაცალკეებულმა კაცმა რომ მოჰქიდოს ხელი წაგების მტრ-გერაფერს სარგებლობას ვერ ნახავს; და თუ ჩამდენიმე კაცი შეერთდა ერთად რომელიმე საქმისათვის და ყველამ მოჰქიდა თანხმობით ხელი, მაშინ ისევე საქმე ძლიერ სასარგებლოდ დაჩრება ყველასათვის თვითოეულად. ეს ჭეშმარიტება რა უფრო ნათლად გიჩვენეთ და

შემოისმა იმისი ქმარი, ხეჩატურას ხმა. — „ძაი რომ ხეჩოც მოდის“ იფიქრა ზაიანემ და აპირებდა გაგებებას, როცა დაინახა ხეჩოსთან პოლოზ მინაქაროვიცა. „მა! ძალი სხენებზედა.“ სთქვა თავის გულში ზაიანემ და უცებ გამობრუნდა უკან სარკისკენა, სადაც გაისწორა კავები და წარბები, გადწმინდა ლოყები უმარილითა, და დაჯდა პატარძალივით ყელმოღერებულნი. — ზაიანეც ეს რა არის, რომ ამ ოთახში ათასი, ემე, ზედი—ზედა ჰყრიან!... მე სტუმარი მომიყვანია, შენი კი მანდ, — ემეც შერები, — ცუდათა ზიხარ. — მჰ! პოლოზ ძარაპეტინი, ხომ მშვიდობით ბრძანდებით... რა არის ეს ასე ჩვენი დავიწყება?!... — ზაიანეს მზემ, არა, მეთქი! დაიწყება რომელია!... ათასი ვინმე დიდი კაცები მოცალეებს არ მამდევნენ: სულ პაველ კარაპეტინი და პაველ ძარაპეტინი! თორემ ხათრი ჯამათ იყავი... ზაიანეს მზემ... — მჰ, შენდა შენი დიდი კაცები! ნეტა თუ რას გაძღვევენ დიდი კაცები!... — მჰ!... მახლას!... დიდკაცობაა, რაღა... აი ესლაც მინდა ერთ გენერალთან წაესულიყავ — დავებარებინე, მაგრამ ხეჩატურ ივანისი ხათრიჯამი აღარ გამიტეხნია... რაქნა!... — ეს პოლოზ ძარაპეტინი სადილათ დამიპატივებია, — ხომ იცი კარგი დახვედრა უნდა, რა გაქვს დღეს სადილი? — ჰკითხა ხეჩატურმა ზაიანეს. — მა! სადილი წინ და წინ რა საკითხავია!

უკეთ გაგაგებინათ, მე მოვიყვან ერთ ძლიერ შესანიშნავს მაგალითს; ეს მაგალითი დავგიმტკიცებ ჩვენ — რა შეუძლია შეერთებულ შრომასა და ჩამდენს სარგებლობას მოუტანს, ის კაცს, თუ კარგათ და თადარიგანად დაიჭერს საქმეს. —

მთხი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა ყმაწვილმა კაცმა უ. მერესჩაგინმა გაათავა სწავლა პეტერბურღის უნივერსიტეტში და დაბრუნდა თავის სამშობლო ქვეყანაში-ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც ის დანიშნეს მომრიგებელ მოშუამდგომელად. (მორიგეი პოსტდენიცი). უ. მერესჩაგინმა კარგათ გაიცნო იქაური გლეხების ყოფა-ცხოვრება და მეურნეობა, რადგან ის მუდამ იმათთან იყო და მათთან ეჭირა საქმე. ზანსაკუთრებით ყურადღება მიაქცია იმან გლეხების პირუტყვეს, რომლებსაც ძლიერ ცოტა სარგებლობა მოჰქონდა მათთვის: გლეხები სარგებლობდნენ მარტო პირუტყვის ნეხვითა და ხორციით. რძეს კი თითქმის არაფერი სარგებლობა არ მოჰქონდა მათთვის. მერესჩაგინმა იფიქრა, მთელი სოფლის ფურებისა რძე რა შეაერთოს კაცმა და დაიწყოს ყველისა და ერბოს მზადება, უქვეყლია ეს საქმე დიდ სარგებლობას მოუტანს სოფელსა, მაშინ როდესაც ესლა რძე თითქმის ტყუილად ფუჭდება. იმას უნდოდა გაეწყო სოფლებში მეყველეებთ ამხანაგობა (артельная сыроварня); ამისათვის იმას, რასაკვირველია, ჯერ თვითონ უნდა დაესწავლა ეს საქმე რიგანათ. უ. მერესჩაგინმა დასტოვა სამსახური და ამ საქმისათვის წავიდა სამზღვარს გარეთ — შევიცარიეში, სადაც ყველის კეთება ძლიერ კარგათ იციან და სადაც ბევრი მეყველეებთ ამხანაგობაებაც არის. მივიდა ერთ იქაურ ქალაქში და დადგა უბრალო მუშათ საყველე ქარხანაში. იქ უ. მერესჩაგინი ისე გულ-მოდგინეთ მუშაობდა, რომ ცოტა ხნის განმავლობაში თვითონ შეიქნა ამ საქმის ოსტატათ. იქაურ სოფლებში ამ გეარ ამხანაგობაებთ იმოდენი შემოსავალი ჰქონდათ და ისე კარგათ მისდიოდათ საქმე, რომ უ. მერესჩაგინი დარწმუნდა, რომ ეს საქმე რუსეთშიაც კარგათ უნდა წავიდესო. შემდეგ ის მივიდა პეტერბურღში და იქაური „მკონომიური საზოგადოების“ შემწეობით შეუდგა საქმეს; „მკონომიურმა საზოგადოებამ“

ხომ იცი უსადილოთ, კვირა დღეა, არ ვიქნებით. — ჰო, მინდოდა ჩემო გაიანე! ხო ვიცი შენი, ემე, დედაკაცობა. — მა! გეუბნები, მეთქი დ! — თუ არა ჰკუთას წააგებ... პოლოზ ძარაპეტინი საქმემ უნდა გააკეთოს. — მაგან რომ შენი საქმე გააკეთოს, ჩემი სადილისა რა ბრალია! — შენი საქმე მეთქი! — მა! პოლოზ ძარაპეტინი ჩემთან რა საქმე აქვს! — მა! გეუბნები — შუშანი უნდა გაათხოვოს. — მერე ვინ უნდა მისცეთ? რატომ მე არ მეტყვიეთ? უბრალო ვინმე ჩემი შუშანი არავის მიეცემ, გადასაგდები ქალმა არა მყავს! რაში მეჩქარება, რა ხანი გასვლია ჯერა. — მა! განა მე გიჭი ვარ უბრალო ვინმეს ჩემი ქალი გადაუდგო! კარგი ვინმეა: ჩასტის აფიცარ, კნიაზ შმეცარიძე... დიდი ყმა და მამულის პატრონი, დიდი ფულის პატრონი!... ხომ გაგიგონათ? — ჩასტის აფიცარი რომელია! — ზაწყვეტინა პოლოზ ძარაპეტინი: — ჩასტის აფიცარი ვისი ტოლია!... შენ ჩასტის აფიცარი აგიყინია... — უფრო უკეთესი. — უკეთესი კი არა, — მაგისთანა არავინ იქნება, მეთქი! ჯერ ერთი რომ კნიაზია: სიატელსტო, რუსულათ ეტყვიან... ბრწყინვალე... გაბრწყინებული... ხეჩატურ ჩაიფანოვის ერთი უბრალო ვინმეს ქალი, მაგისთანა დიდი კნინა გახდება... მა! ოხრობაა, რაღა!

უ. მერესჩაგინი ვალდებული გახდა (რომ: 1) ესწავლებია ყველის მზადება ვეველასთვის; ვინც კი ისურვებს; 2) იმას უნდა გაეწყო მეყველეებთ ამხანაგობაები ტვერის გუბერნიაში და 3) უნდა მოეხანა საშუალება იქაურ ქარხანებში ვაკეთებულნი ყველისა და ერბოს გასაღებისა. უ. მერესჩაგინი დაბრუნდა ნოვგოროდში და სთხოვა იქაურ მებატონეებთ, რომ მიეცათ მისთვის ნება მათ მამულში საყველე ქარხანის გაკეთებისა; მაგრამ, რადგან ეს საქმე ჯერ ახალი და გამოუცდიელი იყო რუსეთში, თითქმის ყველამ უარი უთხრა. — ბოლოს როგორც იყო უფ. მერესჩაგინმა დაარწმუნა ერთი ტვერის გუბერნიის მებატონე — თ. შახოვსკოი, რომელმაც მისცა მას ნება, ეს საქმე მის მამულში — მტროკოვინში — გამოეცადნა. — მერესჩაგინმა მიჰმართა ესლა გლეხებს, აუხსნა მათ-რა არის და რამდენ სარგებლობას მოუტანს მათ მეყველეებთ ამხანაგობის გამართვა და სთხოვა, რომ მთელი სოფლის ფურების რძისათვის მოეყარად ერთად თავი და ერთად დაეწყეთ ყველისა და ერბოს კეთება; მაგრამ გლეხებმა გარდაწყვეტილი უარი უთხრეს, ჩვენ მაგისთანა საქმეში არ გავერყვითო და ძლიერ იქიანად უყურებდნენ ჯერ-ჯერობით ამ საქმეს. მაშინ მერესჩაგინი, მისი ცოლი და ერთი მისი ცოლის ნათესავი ქალი თითონ შეუდგნენ ამ საქმეს. ისინი ყიდულობდნენ ხოლმე ამ გლეხებიდან რძესა, აკეთებდნენ მშვენიერ ყველსა და ერბოს და კარგათაც ასაღებდნენ; გლეხებმა რომ ნახეს-რა კარგათ მიდის საქმე და რა კარგი შემოსავალი აქვს მერესჩაგინს, ნანება დაიწყეს; ამბობდნენ — რატომ არ დავეთანხმებითო, სარგებლობა გვექნებოდაო, რძის გასაღება კი ძალიან იამთ გლეხებს და ერთი მერის ჯიბრობით უკლებდნენ ხოლმე ფასსა, მერესჩაგინმა აი რა ნაირი ოსტატობა იხმარა: ლიტრა რძეს ჰყიდულობდა ჯერ ათ შუურათ, შემდეგ აბახად და მერე გამოუცხადა გლეხებს, რომ ვინც ორ შუურად მომცემს, მისგან ვიყიდო. ზღვებმა დაუწყეს მერესჩაგინს ყვედრება: „შენ არ გვეუბნებოდით — რომ თქვენ სასარგებლოდ მინდა ქარხანის გაკეთებაო; ესლა კი შენ თითქმის უფასოთ გინდა იყილო ჩვენგან რძეო“ ეუბნებოდნენ გლეხები. მერესჩაგინმა უთხრა იმათ, რომ „თუ

— მაა, ხეჩოჯან! ეგ რაები დაგოწყვიო? მერე როგორ აძლევ მაგისთანა ვისმეს ქალი? მინ იცის როგორი კაცია... ან ჩვენი შუშანი რომ სოფელში გაგზავნოს, როგორ გასძლიებს... მერე კნიაზია და ჩვენი სიტყვა სულ არ გაიგონებს. რათ გინდა მაგისთანა სიძე!... არა მე ჰკუთაში არ მომდის... პოლოზ ძარაპეტინიმა დაცინეთ გაილიმა. — როგორ თავიც იდებთ!... მე თუ კნიაზ შარემუზს ვაიგებს, თქვენი ქალი ათასი მილიონათ არ შეიერთავს... ჩვენისთანა სამასი კომლი ზედ კარზედ უსახლია, ზაიანეს მზემ... პამეშიკია... ხო იცი პამეშიკი რაც არის?... ისეთი დიდი ვინმეები აძლევენ ქალსა... რას ამბობ, ღენარლები შეხევეყვებიან — ისეთი ვინმეა. — მე, პოლოზ ძარაპეტინი! ზაიანემ რას ელაპარაკები!... ქალმა თმა გრძელი აქვს და ჰკუთა მოკლე... ზაიანე შენ წადი სადილი მოგვიზადე; ჩვენ პური გვშიან. საქმეს უშენოთაც ვავარებებთ. — ზაიანე გავიდა, ვითომც არაფრათ იამა ეს ამბავი, და მერე ოთახიდან დაუწყო ყურის გდება. — მაშ შენ ნახამ, რაღა, პოლოზ ძარაპეტინი, კნიაზ შარემუზი? — რომ გეუბნები... არა, ხელცარიელი კი არა ენახამ: იმან არ იამება ცარიელი კაცი. ცარიელი რომ ნახო, ქიფხვდ არ იქნება... სადმე ვისმე გამოვართმევ ჩი-შაქარი და ისე მივიღ: მაშინ უფრო კარგს ქიფხვდ მოვა. — ახლა, ისე უნდა ემე ქნა, რომ არ მი-

ნაგობები ყოველგან არ შეიძლება შესდგეს, რადგან ყოველგან არ მოიპოვება თივა და საძოვარი ადგილები; მაგრამ თუ რომელიმე ქალაქის მახლობლად სოფლებში შესაძლოა საძოვარი ან ასი ფურის დარჩენა, იქ რომ შესდგებოდნენ ამისთანა ამხანაგობები, უქვეყნოა, ღირს სარგებლობას მოიტანს ეს საქმე.

სადაც კი შესდგა ამისთანა ამხანაგობები, იქ გლეხები ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე წინეთ, ასე რომ იმათ აღარ ეძნელებათ ახლა სახელმწიფო ხარჯის გარდახდა და ოჯახობაც უკეთ მიჰყავთ.

ს. მ.

საპროკრა ჩვენთვის ურთიერთის შეფარობა, თუ არა?

(გაგრძელება).

1868 წლის მე-44 „როგების“ ნომერში ესტეტი, რომ უასოკლიციოთ არა თუ ჩვენი, არა ხალხის ცხოვრება არ შეიძლება. — მხლა უნდა ესტეტი, რამოდენათ საქორება ჩვენი საზოგადოება ას სო ც ი ა ც ი ა ს (ამხანაგობას).

თუ გესურს შევიტყოთ, რამდენათ საქორება ჩვენი ამხანაგობა, უნდა რასაკვირველია გადავფიქროთ თვალი ეხლანდელ ჩვენს მდგომარეობას, შევძლებას, ღონისძიებას; განვიხილოთ ჩვენი მამულის შემოსავალი და მამულის ცხადათ დაინახათ, — მართლა ისე საქორება შეერთებული შრომა, თუ ისე მამაპაპური ცხოვრება გვიჩვენია. — სამწუხაროა, რომ არა მაქვს მე ხელში სტატისტიკური ცნობები და რომ არ შემოძლია გამოვიანგარიშო ჩვენი შეძლება და უჩვენო ყველას — რა გვაქვს და რა არა. — მაგრამ იმედი მაქვს, უსტატისტიკურ ცნობებითაც დავაკმაყოფილო მკითხველი.

სანამ ბატონ-ყმობა არსებობდა, სანამ მე-ბატონებს ჰქონდათ სრული უფლება თავისთანა სულიერ კაცებზე, მანამდის არა ჩნდა ცხადათ ჩვენი სიღარიბე და სიმდაბლე. — ის ისეთი დრო იყო, როდესაც ბატონი ყოველთვის ერთის ბრძანების ძალით შოულობდა ყველასფერს საქორებას, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც რიცხვითაც მეტი იყო მე-ბატონებზე, ჩაეარდნილი იყო ისეთ სიღარიბეში, ისეთ შესაბრუნებელ მდგომარეობაში, რომ პირველ საქორების დაკმაყოფილებაც არ შეეძლო. — მართალია, უკანასკნელ დროში თვითონ მე-ბატონებიც ვეღარ კმაყოფილობდნენ თავის მამულისა და ყმების შემოსავლით და თან და თან დროს მომდინარეობით, შემოსავალი აკლდებოდათ, საქორება კი ემატებოდათ. — რისთვის ემატებოდათ საქორება? რისთვის აკლდებოდათ და აღარა ჰყოფნიდათ უწინდელი შემოსავალი? სანამ ჩვენი საზოგადოება არ იცნობდა ისეთ ცხოვრებას, როგორითაც ესლა სცხოვრებს, სანამ საზოგადოება კმაყოფილობდა ისე იმ პატრიარხულ მდგომარეობით, რომელსაც შეჩვეული იყო აქამდინ, მანამდის, ეჭვი არ არის, ჰყოფნიდათ წლითი წლამდინ შემოსავალი. — მაგრამ მერაპის განათლების წამბამდელმა საზოგადოებამ მიგნონა მამდელი განათლება. — აღმოჩნდა საზოგადოებაში სურვილი განათლების მიღებისა. — მაგრამ როგორი განათლება სურდა მაშინ საზოგადოებას? ნუ თუ მაშინდელი საზოგადოება ისეთი წინამხედველი იყო, რომ შეიტყო — რაში მდგომარეობს ნამდვილი განათლება? ჩემის ფიქრით, არა თუ მაშინ, ესლაც ვერ მიხვდარა ჩვენი გულგახსნილი საზოგადოება — რა არის საქორება იმისთვის, ან რა არის ნამდვილი განათლება. — საზოგადოებას ისე სწამდა მაშინდელი განათლება (თუ კი შეიძლება დავარქვათ მაშინდელს ახლათ შემოსულს ჩვეულებებს, გა-

ნათლება), რომ სწორეთ დარწმუნებული იყო იმ განათლების ნამდვილობაზე; იმას ვგონა, რომ მართლა ეს არის მივაგენით ბედნიერების წყაროს და გაუსწორდით სხვა განათლებულ ხალხსაო. — ნახეს, რომ ზოგიერთი პირები სრულებით სხვა ნაირათ სცხოვრებდნენ; იმათმა ცხოვრებამ, სახლის მომართვამ, ბაღების და ლოტოს ვეჩერების გამართვამ სრულებით გააოცა ჩვენი საზოგადოება, რადგანაც ამისთანა ცხოვრება არაფრით არ ემგზავებოდა ჩვენსას. — საზოგადოებას ვგონა, რომ სრული განათლება იმაში მდგომარეობდა და ამის გამო თვითონაც დაუწყუო იმათ წაბაძეა. — მაჩნდნენ ჩვენშიაც ჩვეულებები, რომელნიც ესლაც არსობენ საქართველოს მაღალ-საზოგადოებაში; გაჩნდნენ საზოგადოებაში მრავალი სპეკულიატორები, რომელნიც აკმაყოფილებდნენ საზოგადოების მოთხოვნილებას. — ამ სპეკულიატორებმა შემოიღეს სხვა და სხვა ნაირი მოდელები, რადგანაც უამისათ ფეხს ვერსად გასდგამდა ვერც ქალი და ვერც კაცი. — მართის სიტყვით დროის მომდინარეობით, საზოგადოებაში ისე მაგრა ჩაძვდა ფეხი ამ ახალმა განათლებამ, რომ ყოველი კაცი უქვეყნლათ უნდა დამორჩილებოდა იმას; ყოველი კაცი, ყოველი სახლობა სცდილობდა გაეშარათა განსამხარულებელი სახლი, რომ შეყრილიყვენ ერთათ მანათლებულნი დროს გასატარებლათ. — ამ რიგათ შემოვიდა ჩვეულებათ, ვისაც კი შეძლება ნებას აძლევდა, და პატივება რამოდენიმე სტუმრისა (განათლებულებისა) და ბალში ანუ ლოტოს თამაშობაში დროს გატარებისა; ამ ნაირ დროს გატარებისათვის ეჭვი არ არის, რომ ძალიან კარგათ ჩაძვაც საქორება იყო. ამისმიხეზით ერთის საღამოს გულისთვის ზოგი ერთნი ხარჯადნენ თითქმის მთელის წლის შემოსავალს. — ზოგიერთს პირს ასე ვგონა, რომ თუ მართლა დაპატივებს სადმე და არ წაიდა, გაუნათლებლობა იქნებოდა. რამდენიც გახშირდა ამ ნაირი განათლება, იმდენათ უფრო მოუმატეს ხარჯვას და იქამდინ მიღწიეს, რომ თავის მამულის შემოსავალიც აღარ ჰყოფნიდათ და ეალი უნდა აეღოთ. — მალის აღებამ უფრო შეარყია ჩვენი სიმდიდრე: ფულების პატრონებმა იცოდნენ, რომ დღეს თუ ხვალ, მაინც იმათთან უნდა მისულიყვენ და ამ მიზეზით სარგებელს იმდენს ართმევდნენ, რამდენიც შეეძლოთ. — ამის დასასრული ის იყო, რომ თუ ყველანი არა, მომატებული ნაწილი საზოგადოებისა მაინც უნდა ყელამდინ ვალში ჩაეარდნილიყო. — მართლათაც ჩვენ ეხედამთ, რომ უმეტესი ნაწილი გაკირებულ მდგომარეობაშია; ეალი იმდენი აქვს ზოგიერთს აღებული, რომ მართლათ თავის სარგებელის მიცემაც უძნელდება; ბევრია იმისთანა კაცი ჩვენში, რომ ათათასობით ჰმართებს. — ისავება იმისთანაც, რომელსაც უმეტესიც ჰმართებს. „როგებისა“ ან „პაკაზისა“ რომელიმე ნომერი რა ავიღოთ და გადავიკითხოთ ის ფურცელი, სადაც გამოცხადებულია პრიკაზის ეალი-ენახეთ, რომ სულ ათასობით და ათათასობით ჰმართებთ და ეყიდებთ მამული, რომელიც არის იმათი უკანასკნელი ლუკმა, საზრდო. — მართალია, ბევრჯერ თუმცა გამოცხადებულია, მამული მაინც არ იყიდება ხოლმე, რადგანაც ფულის შეტანას ასწრებენ; მაგრამ ეს გამოცხადება იმას მაინც აგვიმტკიცებს, რომ ეალის პატრონებს ეძნელებათ დროზე შეტანა, ესე იგი, ხანდისხან უძნელდებათ შეტანა ფულისა. — აი ეს არის იმ მიზეზთაგანი, რომელიმაც ჩააგლო ჩვენი საზოგადოება ამ მდგომარეობაში.

სხვა მიზეზი, რომელიმაც ჩვენი ხალხი მიიყენა ცუდ ეკონომიურ მდგომარეობამდინ, არის მამულებზე გახშირებული საჩივრები

გაიძარებოდა ხოლმე საჩივრები და დავები და ხშირად საქმე 15 და 20 წელ. გრძელდებოდა; ასე გაგრძელებულდა, რასაკვირველია ფულები უნდა; ამ 15 ან 20-ს წელიწადს, საკუთრების ნამდვილი პატრონი ან მოკედებოდა, ან, კანონების უცოდინარობის გამო, შესცდებოდა როგორმე და მამული რჩებოდა წამდავებელს. — ამისთანა მაგალითები ბევრი მომხდარა, ასე რომ შემოიძლიან ესტეტი, რომ ყოველმა ჩვენგანმა იცის, და ზოგს კიდევ გამოუცდია. — ბევრი ამისთანა მიზეზი ისე მოქმედობდა ჩვენს ხალხზე, რომ უკანასკნელ დროებში თითქმის ყოველი დავა უცხადებდა თავის მფობელსა, ის მფობელი სხვას და ამ რიგათ, როგორც ესლა ეხედამთ, ყველა ჩვენი მე-ბატონე, ან გლეხი კაცი დავაშია გაბმული. — ამის დასამტკიცებლათ, ესთხოვე მკითხველს შოიგონოს — რამდენი დავა გამოცხადდა გასამიჯნავე კომისიაში (въ Межевой комисси), რომელიც დანიშნა მმართველობამ მამულის გასამიჯნაველ, ან შევიდეს გასამიჯნავე პალატაში და გადაათვალიეროს რომელიმე უფხდის საქმეები; იქ ცხადათ დაინახეთ, რომ თითქმის ყოველ დღიურ მიწაზე დავა გამოცხადებულია. — მკონომიურ ცხოვრებაზე ამისთანა მიზეზებს ის გავლენა ჰქონდათ, რომ არა კაცი, რომელიც საქმედა ცოტად იმედა, არა კაცი, რომელიც ბედვად ვაეკეთებინა თავისი მამული, რადგანაც იცოდა, რომ დღეს, თუ ხვალ, უთუოთ წაედავებოდა ვინმე და შეიძლებოდა სხვის სარგებლობაში გადასულიყო. — ამის გამო ჩვენი მიწა, როგორც სახანაი, ისე სათიბი, ტყე, იყენენ უყურადღებოთ დატოვებული; არც ერთს ამ საკუთრებთაგანს არ აპატივებდნენ და ბოლოს იქამდინ მივიყვანეთ ჩვენი მამულები, რომ შემოსავალი მომატების მაგიერ, გვაკლდება, მაშინ როდესაც საქორება გვემატება.

დავგრჩა ერთი და მიზეზი ჩვენი სიღარიბისა — ბატონ-ყმობა, რომელიც, ღეთის მაღლით, სამუდამოთ ვაჭკრა. — მაგრამ მე ამაზედ აღარას ვიტყვი, რადგანაც ყველამ იცის — რა გავლენა უნდა ჰქონოდა ეკონომიურ ცხოვრებაზე ძალდატანებულ მუშაობას. — მართალია, ჩვენი მე-ბატონეები სარგებლობდნენ შემოსავლით თავის მამულიდან, მაგრამ თუ სწორეთ განვიხილეთ იმათი სარგებლობა, ენახეთ რომ ძინი სარგებლობდნენ მხოლოდ სხვის შრომით; შრომა ეკუთვნოდა გლეხ-კაცებს, რომელნიც ეალდებულნი იყვნენ ემუშავათ მუქთათ თავის ბატონის მამულზე. — მუქთი მუშაობა, ამაზედ მე ვგონებ ყველა დამეთანხმება, არ წარმოადგენს არაფერს იმისთანა საშუალებას, რომლითაც შეიძლებოდა გაუმჯობესობა შრომისა; შრომა მაშინ მისცემს წარმატებას ხალხის ცხოვრებას, როდესაც ის დასაჩუქრებს საკუთრად მშრომელს. — ჩვენ ვიცით, რომ გლეხ-კაცების შრომა არა თუ დასაჩუქრებოდა, არამედ იმის გარდა, კიდევ ბევრს სხვას აძლევდნენ ხოლმე, და ამის მიზეზით ხალხის ცხოვრება წარმატების მაგიერ-ბატონ-ყმობის დროს ხედავს მხოლოდ დაცემას და სიღარიბეს. — რადგანაც არ გვაქვს ჩვენ სტატისტიკური ცნობები — ამის გამოისობით ჩვენ უნდა დავეკრდეთ მხოლოდ ეხლანდელ სასოფლო მეურნეობის შედარებით უწინდელ სასოფლო მეურნეობასთან. — შოელის ფერი გაუმჯობესობა, ყოველი ნიეთის უკეთესათ ვაკეთება — არის დამოკიდებული საგნების სწავლაზე. — არც ერთი გაუმჯობესობა სახლის-მეურნეობაში არ შეიძლება, თუ კაცმა არ იცის ბუნებითი საგნები, ესე იგი, ხშირად, ჭიჭიკა და სხ., რომლებიც საქორბი არიან როგორც მიწის შემუშავებისათვის, ისე სამუშაო დროს შემოკლებისათვის; რომელი სახელმწიფოც უნდა გავზინჯოთ, ყველგან ენახამთ, რომ სა-

დაც ხშირით და სხ. ბუნებითი საგნები უნდა გებლა კაცმა, იქ არ იქნება ისეთი გაჭირვებული ცხოვრება როგორც მაშინ, როდესაც არა ეხმარებთ მეცნიერების რეზულტატებს. — შევადაროთ მდგომარეობა ეხლანდელ სასოფლო-მეურნეობისა საქართველოში, სახლის მეურნეობას, რომელიც იყო ამ სამოციის წლის წინათ. — ჩვენ ეხედამთ, რომ სახლის-მეურნეობაში მას აქეთ არაფერი ცვლილება არ მომხდარა. მუთანი ისევე ის არის, რომელსაც შეიძლია უფელი ხარ-კამბიჩი ძლიეს ერევა, მიწის გაპატივება მაშინდელი და ეხლანდელი ისევე ის არი; პურსაც ისევე ისე ლეწვენ, ისევე იმისთანავე ობომობში ინახვენ, სადაც ნახევარს თავი სკამს; ეენახებს იგივე მოვლა აქვს; საითაც უნდა მივიხედ-მოვიხედოთ, ყველგან იგივე მასალა მიწის შემუშავებისა, ეენახების მოვლისა; იგივე ზრუნვლობა მამულზე, და უცოდინარობა ანგარიშისა. — შეეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ვერ იტყვის, ამიტომ რომ არ იცის, რამდენი შემოსავალი აქვს მამულიდან. — ზოგიერთს რომ ჰკითხოთ — რამდენი თუმნის შე მოსავალი აქვს — მერწმუნეთ, პირ-ლია დარჩება, მისთვის რომ თავის დღეში ფიქრშია არ მოსვლია — გამოეთვალა თავისი მამულის შემოსავალი. — ამ გვარი მდგომარეობა არ არის კუთვნილება მხოლოდ მე-ბატონეებისა. — ამისთანა პირობებ შუა სცხოვრებდნენ და სცხოვრებენ გლეხ-კაცებიც. — გლეხ-კაცებს ერთმეოდათ მე-ბატონესაგან ყოველი შეცნინი თავისის ოფლითა და ღვაწით, აძლევდნენ უკანასკნელ ქონებას, მისთვის რომ არა ჰქონდათ უფლება უარის-ჰყოფისა. — ხანდისხან ისეთს მდგომარეობამდინ იყენენ მიყვანილნი, რომ მოთმინებიდან გამოდიოდნენ და აცხადებდნენ საზოგადოათ თავის უკმაყოფილობას; უკმაყოფილების გამოცხადების გამო ჩამოეარდა გლეხ-კაცებს და მე-ბატონეებს შუა დაუნდობლობა, ერთმანეთს არ ენდობოდნენ, და ამის გამოისობით მე-ბატონეს ინტერესი ეწინააღმდეგებოდა გლეხ-კაცის ინტერესსა, მაშინ როდესაც საზოგადო კეთილ-დღეობისათვის ყოველად საქორება საზოგადო ინტერესი, ნდობა. —

(შედეგი იქნება).

სამაპრო. ცნობები.

მთავარ სამმართველოს წინადადებისა გამო ქ. მუთისის მუხრანის სასამართლოში ამ წლის 3 ივნისს იქმნება ვაჭრობა სიმონეთის, ზესტაფონის, ბელოვარის და მოლითის სტანციების შეკეთების თაობაზე. მასი პოდრიადისა ოთხას სამოცდა ათი თუმანი, ექვსი მან. და 13 კაპიკია (4706 მ. 13 კაპ). დანიშნულია. —
ვაჭრობა დაიწყება თერთმეტ საათზე და გათავდება სამზე.
მისაც მსურს რომ ვაჭრობაში გაეროს, იმან დაწესებულ ღებრის ქალაღზე უნდა წარადგინოს: 1) პასპორტი, ან სხვა რამ იმის ეინაობის დამამტკიცებელი ქალაღი; 2) პოლიციიდან ქალაღი, რომ იმას ხაზინასთან კარგათ შეუსრულებია უწინდელი პოდრიადები; 3) მას გარდა იმან უნდა წარმოადგინოს გირაოთ საპოდრიადო ფულის მესამედის თანასწორი ფული, ესე იგი 1,568 მან. და 71 კაპ.
შოველს მსურველს შეუძლია ნახოს გუბერნიის სამმართველოში დილიდან ორს საათამდე ამ საქმისთვის საქორბო პლანები, ანგარიშები და პირობაები.

განცხადება

სამმართველოს პარტა. მართულ ენაზედ სქელ და თეთრ ქალაღზედ დაბეჭდილი ისყიდება მელოქიშვილის და კ. სტამბაში და სასულიერო სემინარიაში. მასი 30 კაპიკი.